საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნოდარ პაპუკაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**

| კრიტერიუმი | მიღებული ქულა | მაქსიმალური ქულა |
|---|---|---|
| სამართლის ნორმების ცოდნა | 22 | 25 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 22 | 25 |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 18 | 20 |
| პროფესიული თვისებები | 14 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 10 | 10 |
| პროფესიული აქტივობა | 5 | 5 |
| ქულათა ჯამი | 91 | 100 |

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი : 27.05.2021 წ.

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

## ზაზა ხარებავა

### ნოდარ პაპუკაშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნოდარ პაპუკაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: „საბჭოს წევრები, ამ კანონის $36^3$ მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის $35^1$ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის $35^1$ მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის $35^1$ მუხლის მე-16 პუნქტით, $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის $36^3$ მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $36^3$ მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

**1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

**2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

**3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

**4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება<br>კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>დასაბუთება</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს<br>კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3">საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ ნოდარ პაპუკაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას.<br><br>1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:<br><br>კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას კეთილსინდისიერ, პატიოსან, კანონმორჩილ, საქმის ერთგულ პიროვნებად ახასიათებენ.<br>კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ იგი, პატიოსანი მოქალაქეა, არის კეთილსინდისიერი და გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, ღიად და გამჭვირვალედ, კეთილსინდისიერად და ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს სამსახურეობრივ და სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, კერძოდ: კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. მოძიებული მასალით კანდიდატს საგზაო მოძრაობის წესის დარღვევის რამდენიმე ფაქტი უფიქსირდება, რომლებზეც სრულად და დროულად აქვს გადახდილი დადგენილი ჯარიმა.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br>2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს<br>კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს<br>კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | | კანდიდატი ხასიათდება პრინციპულობით, დამოუკიდებლობით, სამართლიანობით, მიუკერძოებლობით გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით, სიმტკიცით, შეუვალობით.<br>გასაუბრების პროცესშიც კანდიდატმა მის მიმართ დასმული ყოველი საკითხი განიხილა დამოუკიდებელი და ობიექტური მსჯელობით, შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით. ჩანს, რომ იგი თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისაგან და დისკრიმინაციული მიდგომებისაგან, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და იყოს ზეგავლენის მიმართ მედეგი.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:**<br><br>გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი და კორექტულია. შესწევს ემოციების მართვის უნარი. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ ის დაუღალავი პიროვნებაა, შეუძლია რამდენიმე მიმართულებით ერთდროულად მუშაობა, კოლეგიალურია.<br>კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ ნოდარ პაპუკაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.<br>კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა ორ სამოქალაქო საქმეში: დავის საგანი - თანხის დაკისრება, შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი.<br>- დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება. შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 დეკემბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება მხარეთა მორიგების გამო.<br>კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. |

| | | |
|---|---|---|
| | | კანდიდატის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა.<br>კანდიდატს საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის, რაც სრულყოფილად და დადგენილ ვადებში არის დაფარული<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**<br><br>კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით.<br>რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ ნოდარ პაპუკაშვილს კოლეგებში, პროფესიულ და აკადემიურ წრეებში აქვს მაღალი ავტორიტეტი და სანდო რეპუტაცია.<br>რეკომენდატორებს და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.<br>ნოდარ პაპუკაშვილის საქმიანობის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მედიით გაშუქდა მის მიერ გაკეთებული განცხადებები, მათ შორის, კონსტიტუციის და საარჩევნო სისტემის შესახებ. ნოდარ პაპუკაშვილს როგორც "ბიზნესქეარ კორპორეიშენის" დამფუძნებელს გაკეთებული აქვს კომენტარები „გუდვილთან" დაკავშირებით. ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კონკურსში კანდიდატის მონაწილეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის, როგორც დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნების მიმართ ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგო რაიმე დადგენილი ფაქტი, ან ობიექტური მოსაზრება არ გამოვლენილა.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული |

| | | |
|---|---|---|
| | | კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**5. ფინანსური ვალდებულება:**<br><br>ნოდარ პაპუკაშვილი, მართალია არ წარმოადგენს სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს, თუმცა ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მის შეფასებას ვახორციელებ ამ მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასების მსგავსად - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $36^3$ მუხლის გათვალისწინებით ისე, როგორც ეს რეგლამენტირებულია ამავე კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.<br>კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა მომავალში, მისი მოსამართლედ გამწესების შემთხვევაში საფრთხე შეუქმნას კანდიდატის მიუკერძოებლობას, არ გამოვლენილა.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის მახასიათებლებს, $36^3$ მუხლის გათვალისწინებით.<br><br>ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს.<br>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ ნოდარ პაპუკაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. |
| მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით | | | დასაბუთება |
| კრიტერიუმი | მიღებული ქულა | მაქსიმალური ქულა | |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 22 | 25 | კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით.<br>საჯარო გასაუბრებისას ნოდარ პაპუკაშვილმა უმეტესწილად გამოავლინა სამართლის ნორმების შესაბამისი ცოდნა, ისაუბრა სამართლის პრინციპებზე, კონსტიტუციურ წყობილებაზე, მისი პრეამბულის სამართლებრივ ძალაზე. ისაუბრა რწმენისა და აღმსარებლობის თაობაზე, ხაზი გაუსვა კონსტიტუციის ძველი და ახალი რედაქციის ჩანაწერებს შორის განსხვავებას. საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ღირსების უფლებასთან დაკავშირებით, მოიყვანა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ისაუბრა სიძულვილის ენის არსზე. საფუძვლიანად იმსჯელა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე და სხვა ზოგად საკითხებზეც.<br>თუმცა, რამდენიმე სამართლებრივ საკითხზე კანდიდატის პასუხი არ იყო სამართლებრივად სრულყოფილი და შემოიფარგლებოდა მეტ-ნაკლებად ზოგადი განმარტებებით, მათ შორის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: რეფერენდუმის ჩატარების საფუძვლებსა და მექანიზმებზე, კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებული საკითხები, ე.წ. ღია კონსტიტუციურ სიცარიელესთან (კვალიფიციურ დუმილთან) დაკავშირებული საკითხები, დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქართველოს მიმართ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი პრეცედენტი და სხვა.<br>ჩანს, რომ კანდიდატი მეტნაკლები ინტენსივობით ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4,,ა" პუნქტის ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს  და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლის ნორმების ცოდნის" კრიტერიუმში ნოდარ პაპუკაშვილი უნდა შეფასდეს 22 (ოცდაორი) ქულით. |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 22 | 25 | კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაციის გაცნობით.<br>კანდიდატმა წარმოადგინა სამართლებრივი სტატია: „მთავრობის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნებში, ზოგადი მიმოხილვა". სამართლებრივ ნაშრომში მსჯელობა საფუძვლიანად არის განვითარებული, წარმოჩენილია მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხები, დასკვანა არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული.<br>საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ანალიტიკური აზროვნების უნარი, თუმცა გარკვეულ საკითხებზე მისი მსჯელობა არ იყო ბოლომდე სრულყოფილი.<br>კანდიდატს აქვს 13 წლიანი პროფესიული გამოცდილება. ამჟამად არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თბილისის ღია უნივერსიტეტში; რეაბილიტაციის მმართველი - სს „გუდვილი".<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს  და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის" კრიტერიუმში ნოდარ პაპუკაშვილი უნდა შეფასდეს 22 (ოცდაორი) ქულით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 18 | 20 | კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობით. რეკომენდატორების მოსაზრებებით, კანდიდატს აქვს, როგორც წერის, ისე ვერბალლური კომუნიკაციის კარგი უნარი, ის ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არის სხვადასხვა სამართლებრივი ნაშრომის ავტორი.<br>შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ წერისასა კანდიდატი აზრს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე, ნათლად და გასაგებად გადმოსცემს.<br>კანდიდატმა აგრეთვე გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად და აზრს გადმოსცემს გასაგებად. ინტერვიუს მიმდინარეობისას შეინიშნებოდა ოდნავი შინაგანი ღელვა. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" კრიტერიუმში ნოდარ პაპუკაშვილი უნდა შეფასდეს 18 (თვრამეტი) ქულით. |
| პროფესიული თვისებები | 14 | 15 | კანდიდატის პროფესიული თვისებების შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათების გაცნობით.<br>რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, იცავს სამსახურეობრივ კონფიდენციალურობას. აღნიშნულზე დაყრდნობით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის კომპეტენტური, შრომისმოყვარე, პუქტუალური და მიზანდასახული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების და ანალიზის უნარი. აქვს გუნდურად მუშაობის გამოცდილება და სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებების'' კრიტერიუმში ნოდარ პაპუკაშვილი უნდა შეფასდეს 14 (თოთხმეტი) ქულით. |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 10 | 10 | აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით.<br>ნ.პაპუკაშვილმა 2001 წელს დაამთავრა „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" ეკონომიკის ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი.<br>კანდიდატი 2018 წლიდან არის „ბიზნესის გადახდისუუნარობის მმართველთა" ასოციაციის დამფუძნებელი/წევრი, ხოლო 2015 წლიდან „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის" წევრი.<br>კანდიდატს მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 2006წ.<br>ნ.პაპუკაშვილს მიღებული აქვს მიხეილ ქურდაძის სახელობის სტიპენდია, 1996წ.<br>იგი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.<br>წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის'' კრიტერიუმში ნოდარ პაპუკაშვილი უნდა შეფასდეს 10 (ათი) ქულით. |
| პროფესიული აქტივობა | 5 | 5 | პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | გასაუბრების პროცესზე მასზე დაკვირვებით.<br>ნოდარ პაპუკაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:<br>- გლობალიზაცია და უმაღლესი განათლების გამოწვევები - ტრენინგი.<br>- გადახდისუუნარობის მმართველთა ტრენინგი.<br>- უკრაინის საპარლამენტო არჩევნები - ტრენინგი, კიევი, ჩერნიგოვის ოლქი<br>- უსაფრთხოება და ბიოტერორიზმი - ტრენინგი, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ.<br>- პოლიტიკური სწავლების სკოლა - ტრენინგი, თბილისი, საფრანგეთი, სტრასბურგი.<br>- საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხები - ტრენინგი, აშშ, ვაშინგტონი, ნიუ-იორკი, მონტანა.<br>ნ. პაპუკაშვილი უძღვება სალექციო კურსებს შემდეგ თემებზე:<br>- „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“.<br>- „მუნიციპალური სამართალი“.<br>- „საკონსტიტუციო სამართალწარმოება“.<br>- „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“.<br>კანდიდატი 2011 წლის 24 სექტემბრიდან მუშაობდა „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში“ სამართლის სკოლის მოწვეულ ლექტორად ამასთან, 2012 წლის 28 თებერვლიდან იგი არჩეულ იქნა სამართლის სკოლაში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 3 წლის ვადით.<br>ნ. პაპუკაშვილი 2010 წლის 30 სექტემბრიდან 2011 წლის 1 დეკემბრამდე მუშაობდა შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში“ სამართლის ფაკულტეტის, საჯარო სამართლის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.<br>კანდიდატი არის შემდეგი სამართლებრივი წიგნების თანაავტორი:<br>- „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, (ოთარ მელქაძე) პირველი კრებული, 1999 წ.<br>- „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“, (ოთარ მელქაძე), ცნობარი - ნაწილი პირველი, 2001 წ.<br>ნ. პაპუკაშვილს გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო სტატია, მათ შორის, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | თბილისის ღია უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული: N4, 2013 წ., N5, 2014 წ. და N8, 2017 წ. და სხვ.<br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ კანდიდატს აქვს კარგად განვითარებული საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვის, ინიციატივის გამოჩენის, იდეებისა და წინადადებების წამოყენების უნარები და ა.შ.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის" კრიტერიუმში ნოდარ პაპუკაშვილი უნდა შეფასდეს 5 (ხუთი) ქულით. |
| ქულათა ჯამი | 91 | 100 | |

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.